ვასო გულეური

ჩურჩხელები

კლასი II
კითხვის დონე – 2.1
ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი),
საინფორმაციო-შემეცნებითი

მხატვარი: **ზურაბ სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისო რეხვიაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

ვასო გულეური



ჩურჩხელები

ბებო ჩურჩხელების ამოსავლებად ემზადება.

ბებოსთან ერთად ემზადებიან ლექსო და ლელა.

ლექსომ კაკალი და თხილი დაამტვრია.

ლელამ ნიგოზი და თხილის გული გაარჩია.

ბებომ ნიგოზი და თხილის გული ძაფზე აასხა. მერე ქვაბში ბადაგი ჩაასხა და ცეცხლზე შედგა.

ბადაგი ადუღდა. ბებომ ქვაბში ფქვილი ჩაყარა. მერე ციცხვით კარგად მოურია.

ცოტა ხანში თათარამ დუღილი დაიწყო.

— აბა, დავიწყოთ ჩურჩხელების ამოვლება, — თქვა ბებომ.

ლელა ბებოს ასხმულ ნიგოზსა და თხილს აწვდის.

ბებო თათარიან ქვაბში უშვებს. თან ციცხვით კარგად ურევს. მერე ძაფს ნელ-ნელა ამოსწევს და ჩურჩხელაც მზად არის!

გამზადებულ ჩურჩხელას ბებო ლექსოს აწვდის. ლექსო კი ფრთხილად კიდებს ხარიხაზე გასაშრობად.

ჩურჩხელები სასაცილოდ კონწიალობენ. ზოგჯერ წაგრძელებული კუდებიდან თათარას წვეთები ძირს ეცემა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი...

— ითვლიან ლექსო და ლელა ჩურჩხელებს.

ბებო ჩურჩხელების ამოვლებას მორჩა.

— სულ რამდენი გამოვიდა? — ჰკითხა ბებომ ბავშვებს.

— ორმოცი, — ერთხმად დაიძახეს ლექსომ და ლელამ.

— ძალიან კარგი. ყოჩაღები ვართ! ნახევარი საახალწლოდ შევინახოთ, — თქვა ბებომ და ბავშვებს თბილად გაუღიმა.

ბავშვები ამაყად უყურებდნენ
თბილ, სურნელოვან ჩურჩხელებს.
ახალ წელს სუფრასთან მათი
ამოვლებული ჩურჩხელებიც იქნება!